

მარიამ კობერიძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
გორი, საქართველო
maikoberidze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

ღვანის ფრონის ონომასტიკა ქართულ და თურქულ ისტორიულ დოკუმენტებში

წინამდებარე სამეცნიერო სტატიაში წახმოდგენილია ღვანის ფრონის ონომასტიკა. კვლევა ემყარება „1715 წლის ხუისის სამწყსოს დავთაში“, იოანე ბაგჩათონის „ქახთღ-კახეთის აღწეაში“, ვახუშტი ბაგჩათონის „საქაღთვედოს გეოგრაფიასა“ და 1728 წლის „თბილისის ვიღაღეთის დიდ დავთაში“ ტოპონიმებისა და ანთოპონიმების ანალიზსს თანამედროვეობასთან მიმართებაში. დოკუმენტებში აღწეილია ღვანის ფრონის სოფლები: სალოღაშენი, ახადეთი, წვეი, ბეღეთი, დიბი, ღვანი, ტოღიბუღი, ავნევი, ახკნეთი, წუნაღი, თოღმანეღი, ბეღმაღი, ღვეღთევი, ნუღი, მავღა, წოღბნისი, უღია, ყოღნისი, ხუსთავი.

ამ სოფლების ნაწიღი დღეს ოკუპიღებულია, ნაწიღი გამყოღი საზღვის ახღოს მღებარეღობს. გვზღება ნასოფღარეღიღც.

ტოპონიმებისა და ანთოპონიმების სღეუქღუღიღი ეღემენტები შეესაბამება საღიღეღარეღო ქაღთუღისა და დიღრექღებისათვის დამახასიღებღდ ტენდენტებს. პიღონუღი სახეღები გვზღება ოღწეღვიღანი მოღეღით. ქაღთუღ დოკუმენტებში დასღუღება გვაღი+სახეღი. თუღქუღ დოკუმენტებში გვზღება სახეღი+ მამის სახეღი.

საკვანღო სიღყვები: ღვანის ფრონე, ისტორიული დოკუმენტები, ტოპონიმები, ანთოპონიმები, ნარმოება.

ონომასტიკის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც ენათმეცნიერებისათვის, ისე ისტორიის, ეთნოგრაფიისა და კულტურის კვლევისათვის. ტოპონიმები და ანთოპონიმები საშუღლებას გვაღღევს, სრულად გამოგავღინოთ უღვეღესი ქარტული მიწა-წყლის გეოგრაფიული ნომეკლატურა და შევისწავლოთ ის საკიღებები, რომლებიღც დიღი ხანია აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობის უმთავრესი წყაროა. ამავე დროს შეკრებიღ-შეჯერებული მასღა ხელს შეუნყობს ქარტვეღური ენათმეცნიერების კერღო და ზოგადი პრობლემების ძიების მკვიღრ ნიღდაგზე დაყენებას.

ყოვეღი ისტორიული ნაშრომი თუ დოკუმენტი მნიშვნელოვანია ენათმეცნიერებისათვის ენის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწიღის, ტოპონიმის შესასწავლად. მასში ასახული

ისტორია აკავშირებს ერთმანეთთან ხალხის წარსულსა და აწმყოს. ამიტომ, როცა დგას საკითხი ამა თუ იმ ადგილის ან ტერიტორიის სხვისთვის მიკუთვნებაზე ან მითვისებაზე, აქ ტოპონიმი და მისი ეტიმოლოგიური ახსნა გვაძლევს პასუხს ადგილის წარმომავლობის შესახებ.

დვანის ფრონე პატარა მდინარეა. მისი სათავე იწყება წორბისიდან ფრონის სახელწოდებით და მას ავწევთან შეერთვის ავწევის წყალი, შემდეგ დვანში -მდინარე მტილიანა, დვანის ქვევით კი ის ერთვის მტკვარს ქარელთან.

მდინარე ფრონისა და მისი შენაკადების ნაპირას ბევრი სოფელი ისტორიულია, ბევრი ახლად გაშენებულია. ამ სოფლების ნაწილი დღეს ოკუპირებულია, ნაწილი გამყოფი საზღვრის ახლოს მდებარეობს. გვხვდება ნასოფლარებიც.

ვახუშტი ბაგრატიონი ფრონეთა ხეობას უწოდებს „აღის-წყალს“, „დვანის-წყალს“, „ფცის-წყალსა“ და „სურამის -წყალს“ (ბაგრატიონი 1941, 79, 81).

იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ მოცემულია ქართლ-კახეთის 2300-მდე ტოპონიმური ერთეული, რომელიც მას ჩაუწერია 1794 -- 1799 წლებში ორი მეფის – ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის სპეციალური დავალებით. „მართალია, იოანე ბაგრატიონის მოგზაურობას ქართლ-კახეთში უმთავრესად ადმინისტრაციული თვალსაზრისი ედვა საფუძვლად, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ტოპონიმური მასალა უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს ისტორიის, ისე ქართველური ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც“ (კოტინოვი 1980, 339).

იოანე ბატონიშვილის დასახელებული ნაშრომი მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვანწვდის ფრონეს ხეობის ტოპონიმების შესახებ. სახელწოდება „ფრონე“ მასთან არ გვხვდება, მაგრამ ამ ხეობაში არსებულ მდინარეებს „წყლებად“ მოიხსენიებს და ასე აღწერს: „დვანის წყალზედ“, „ფცის წყალზედ“, „აღის წყალზედ“, „სურამის წყალზედ“ (ბაგრატიონი 1980, 368-369).

ვახუშტის მონაცემებზე დაყრდნობით, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები ფრონის ხეობის შესახებ განსხვავებულია. ს. მაკალათია დვანის ფრონეს, აღის ფრონეს და ფცის ფრონეს ერთ ხეობაში განიხილავს და უწოდებს „ფრონის ხეობას“ (მაკალათია 1963, 3). ალ. ღლონტი „ფრონეების ხეობებში“ განიხილავს დვანის წყალს, ფცის წყალს, აღის წყალსა და სურამის წყალს (ღლონტი 1988, 3,4).

იოანე ბაგრატიონს „დვანის წყალზე და მის ხეობაზე“ ჩამოთვლილი აქვს 19 სოფელი: **სალოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დვანი, ტოლიბერი, ავწევი, არკნები, წუნარი, ესკენეთი, თორმანუელი,**

ბეყმარი, ღვედრეთი, ნული, მავდა, წორბნისი, აჭურია, ყორნისი, რუსთავი (ბაგრატიონი 1980, 368).

ვახუშტის მიხედვით დვანის ფრონის სოფლებია: **სალოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლიბიური, ავნევი, ერკნეთი, წუნარი, თორმანული, ბეყმარი, დღვედრეთი, ნული, მავდა, წორბნისი, ურია, ყორნისი, რუსთავი** (ბაგრატიონი 1941, 200).

ფრონის ხეობის ტოპონიმების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა რუისის სამწყსოს დავთარი ანუ მათიანე რუისისა, რომელიც 1715 წელს შეუდგენია ნიკოლოზ მროველს ორბელიშვილს ანუ ყაფლანიშვილს. ეს დავთარი დაიბეჭდა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები“. „ისტორიული, სტატისტიკური და იურიდიული მნიშვნელობა ამ დავთრისა ეჭვგარეშეა, ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ მთლათ მოვიყვანოთ აქ ეს ნაშთი საქართველოს სიძველინისა“ (თაყაიშვილი 1907, 126).

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში რუისის სამწყსოს შეადგენდა მთელი ზემო ქართლი ანუ უმეტესი ნაწილი ძველი შიდა ქართლისა. ფრონის ხეობა, როგორც ზემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი, შედიოდა რუისის სამწყსოში.

რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარში აღნიშნულია დვანის ფრონის 14 სოფელი: **სალოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ავნევი, ერკნეთი, თორმანული, ბეყმარი, ღვედრეთი, ნული, მავდა, წორბნისი** (თაყაიშვილი 1907, 368-369). ამ დავთარში არ გვხვდება: **ტოლიბიური, წუნარი, ურია, ყორნისი და რუსთავი**.

„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტია, რომელიც ოსმალეთის იმპერიის მთავრობის განკარგულების თანახმად შედგენილია 1728 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მოვლენილი თურქი მოხელეების (დევთარდარების) მიერ. ნაპიების (რაიონების) მიხედვით მოცემული სოფლების სიას თანდართული აქვს სოფელში დასახლებულ კომლთა უფროსების სიები. ისე, როგორც სხვა ოსმალურ დოკუმენტებში, აქაც მათ „ისფენჯი კაცების“ (გადასახადის გადამხდელი ანუ არამუსლიმნები) სახელით მოიხსენიებდნენ (მამისთვალიშვილი 2013, 32).

ეს თურქული ოფიციალური დოკუმენტი ორ წიგნად გამოიცა (2009, 2010). ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკადემიკოსმა სერგი ჭიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ.

თბილისის ვილაიეთში შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი. გორის ლივაში შედიოდა საციციანოს, პეტრეს, ამილახვრის, შავი არაგვისა და შანშეს, მუხრანის, თრიალეთის და გუჯარეთის ადმინისტრაციული ერთეულები, გორის ციხე (რაბათი). აღნიშნული თურქული დოკუმენტი მნიშვნელოვანია

ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის შესწავლისათვის. განსაკუთრებით საინტერესო დიდი და პატარა პუნქტების სახელწოდებები, სოფლები და ნასოფლარები.

ფრონის ხეობა ექვემდებარებოდა ამილახვარს. დოკუმენტში დასახელებულია დვანის ფრონის 16 სოფელი: **საღვალაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, დვანი, ტოლეთუბანი, ავნევი, წუნარი, თურმანული, ბეყმარი, ნული, მალდა, წურბისი, ყორნისი, არკნეთი** (თბილისი ვილაიეთის დიდი დავთარი 2009, 280-341).

ოსმალური დოკუმენტი საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ ფრონის ხეობის ტოპონიმებს დღევანდელობასთან მიმართებაში. აქ წარმოდგენილი სოფლების უმეტესობას სახელწოდება არ შეცვლია, ნაწილი ფონეტიკური ცვლილებებით არის წარმოდგენილი, ნაწილი ოკუპირებულია, ზოგი კი ნასოფლარია (კობერიძე 2014, 162-164).

ყურადღებას იქცევს ქართულ და თურქულ ისტორიულ დოკუმენტებში ერთი და იმავე ტოპონიმების მონაცვლეობა დღევანდელობასთან მიმართებაში.

საღვალაშენი. დღეს გვხვდება **საღოლაშენი** (ვა→ო მონაცვლეობა).

თურმანული შდრ. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები **თორმანული.** უ და ო ბგერების მონაცვლეობა. დღეს გვხვდება თორმანული. სოფელი ოკუპირებულია.

მალდა შდრ. ვახუშტი **მავდა.** დღეს გვხვდება **მალდა. ლ და ვ** ბგერების მონაცვლეობა.. სოფელი ოკუპირებულია.

ტოლიბური. შდრ. ვახუშტი ტოლიბიური. დღეს გვხვდება **ტოლიბური.** ი-ს დაკარგვით. ამ ტოპონიმის სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს ტოლიბერიდან. უ და ე ბგერათა მონაცვლეობა.

თურმანული შდრ. ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები **თორმანული.** უ და ო ბგერების მონაცვლეობა. დღეს გვხვდება **თორმანული.** სოფელი ოკუპირებულია.

ბეყმარი. უცვლელად დასტურდება ვახუშტი და იოანე ბაგრატიონებთან. სახელი არ შეცვლია.

წორბისი. შდრ. ვახუშტი - წორბისი; იოანე ბაგრატიონი-წორბისი. დღევანდელი წორბისი.

არკნითი. შდრ. ვახუშტი - ერკნეთი, იოანე ბაგრატიონი - არკნები, თურქული დოკუმენტი-არკნითი. დღევანდელი არკნეთი. არკნეთი ←არკნითი. -ით/-ეთ სუფიქსთა მონაცვლეობა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „ით გვხვდება როგორც ვარიანტი ეთ-ისა რამდენიმე სოფლის სახელში: ღვანკ-ით-ი, როკ-ით-ი, მოლ-ით-ი, ბელლ-ით-ი, ხრე-ით-ი (ღრე-ით-ი? სადაურობის სახელია: ხრე-ვ-ელ-ი) და სხვ. ამგვარადვეა ნაწარმოები: პირმზ-ით-ი და სომხ-ით-ი-ც“ (შანიძე 1980, 139).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელებისაგან ნაწარმოები დიდი გეოგრაფიული სახელები (ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთი, სვანეთი, სომხეთი, სპარსეთი, არაბეთი...). ამ სუფიქსით ნაწარმოებია მცირე დასახლებული პუნქტები (სოფლები, უბნები...). -ეთ „რისამე ანუ ვისამე მრავლად მყოფის ადგილს აღნიშნავს“ (ჩიქობავა 2008, 550). ბ. ჭორბენაძის აზრით, -ეთ მორფემის ფუნქცია დავიწროვდა და ამჟამად სპეციფიკურ მატოპონიმებელ მორფემად დაჩნდება და სალიტერატურო ენასა და ზოგიერთ დიალექტში. დიალექტთა ერთ ნაწილში მას შენარჩუნებული აქვს ამოსავალი ფუნქცია (მოხეურში, რაჭულის კილოკავებში) (ჭორბენაძე 1993, 431, 432).

ტოპონიმთა უმეტესობა წარმოდგენილია -ით მანარმოებლით. მაგ.: **ლოღითი** - შდრ. ვახუშტი **ლოღეთი**. **ქალითი** - შდრ. ვახუშტი **ქალეთი**. **ბალითი** - შდრ. ვახუშტი **ბალთა**. **წირითი** - შდრ. ვახუშტი **წირეთი**. დღეს გვაქვს **ლოღეთი, ქალეთი, წირეთი**.

-ით მოქმედებითი ნიშანი ხშირად გვხვდება როგორც სახელთა წარმოქმნის სუფიქსი (პირობითი, შემოქმედებითი...). არ არის მოულოდნელი, რომ გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად დასტურდება სოფლის სახელებში საქართველოს სხვა კუთხეებშიც: ღვარკ-ით-ი, მოლ-ით-ი, ბელლ-ით-ი, ხრე-ით-ი. სამეცნიერო ლიტერატურაში -ით მიჩნეულია -ეთ სუფიქსის ვარიანტად (შანიძე 1980, 138; ხორნაული 2003 , 192).

ზემოთ განხილულ ყველა ისტორიულ დოკუმენტში დასტურდება სოფელი **ავნევი**. დღესაც ამ სახელწოდებით გვხვდება, ბოლო პერიოდში გაჩნდა სახელწოდება **ნაავნევარი**. ეს სოფელი დღეს ნანგრევებად არის ქცეული. ავნევი ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვისაგან ნა-ვნ-ევ-ი (ვნებაშიყენებული) ნ-ს დაკარგვით, აქედან ნა-ავნ-ევ-არ-ი. წინა ვითარებას აწარმოებს ორმაგი სუფიქსი (კობერიძე 2009, 281).

დვანის ფრონის სოფლები დღევანდლობასთან მიმართებით ასე გამოიყურება: 1. სახელწოდება არ შეუცვლია ტოპონიმებს: ავნევი, ბეყმარი, ნული, თორმანული, წორბისი, დვანი, ავნევი. 2. გარკვეული ენობრივი პროცესების შედეგად მოხდა მცირე ცვლილება შემდეგ სახელწოდებებში: არკნეთი ← არკნითი. 3. სახელწოდება შეცვლილია: წირეთი –ნაბაკევი; ტყისუბანი – ზნაურყავი. 4. ნასოფლარია მდავი.

დღევანდელი დვანის ფრონის სოფლებია: **სალოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, დირბი, ტახტისძირი, გვირგვინა, დვანი, წკნელისი, ველები, მტილიანა, მუგუთი, დიდმუხა, ავნევი, ნუნარი, ღვერთევი, ნული, თორმანული, მალდა, არკნეთი, ბეყმარი, წორბისი, რუსთავი, ტოლიბური, კიმასი, გიორგი წმინდა, სამწყარო, საჯარე, ამბრეთი, ციხიათი, ღვიაგინა, ტბეთი, ველები, დოდეთი,**

ქვასათალა, ყორნისი. ამ სოფლების ნაწილი ოკუპირებულია, ნაწილი საზღვრისპირა სოფელია.

ტოპონიმთა წარმოება ქართულია, ძირითადად ნაწარმოებია სუფიქსებისაგან. მაგ.: -ეთ დაბოლოებიანია 6 ტოპონიმი; -ათ დაბოლოებიანია-1; -ის-ი დაბოლოებიანია-3; -ათ(ა) დაბოლოებიანია-2; -თა დაბოლოებიანია 1; -ეულ სუფიქსიანია-2; -ულ სუფიქსიანი-1; -არ სუფიქსიანია- 1; -ევ სუფიქსიანია -1; -ალა სუფიქსიანი -1; -ინა სუფიქსიანი- 1; -ურ სუფიქსიანი-1. -ებ სუფიქსიანი -1; -უთ სუფიქსიანი - 1 (კობერიძე, 2015, 63-70).

სა-ო პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებია 1 ტოპონიმი (სა-ჯვარ-ე).

რთულფუძიანი ტოპონიმებია-9: სალოლაშენი, ტახტისძირი, გვირგვინა, დიდმუხა, რუსთავი, ტოლიბური (←ტოლიბერი), სამწყარო, ქვასათალა. მსაზღვრელ-საზღვრულიანია 1 ტოპონიმი -გიორგი წმინდა (←გიორგის წმინდა).

რუისის სამწყოს დავთარში პიროვნების სახელები ძირითადად ორწევრიანია:

1. გვარი+ სახელი: ეგნატიშვილი დემეტრე, ხახანაშვილი პაპუნა.

2. გვარი+ საეკლესიო წოდება: ეგნატაშვილი მღვდელი; ხუციშვილი მღვდელი.

ზოგჯერ გვხვდება სამწევრიანიც: გვარი+ საეკლესიო წოდება+ სახელი: გვიმრაძე მღვდელი ფილიმონ.

ერთწევრიანი: თანამდებობა ან ზედმეტი სახელი: ბოქოული; საძაგელი. არსად არ გვხვდება პეროვნების სახელთან მამის სახელი.

თბილისი ვილაიეთის დიდ დავთარში წარმოდგენილი პიროვნული სახელების ანთროპონიმული სურათი ძირითადად ორწევრიანია:

1. სახელი+ მამის სახელი: ნიკოლოზ ძე ხოსიასი, რევაზ ძე გიორგისა.

2. სახელი+ძმა: თამაზა ძმა მისი, ივანე ძმა მისი.

3. სახელი+ ძე (მისი): თეოდორე ძე მისი, მამუკა ძე მისი.

4. სახელი+ძე (მეორე): ბერი ძე მეორე ძე...

თურქულ დოკუმენტში არსად გვხვდება გვარი.

იშვიათად გვხვდება პირსახელთან ერთად წოდებაც: **დათუნა ძე დიმიტრისა აზნაურია, ზოსია ძე ზაქარასი აზნაურია, ლუარსაბ ძე მისი თავადია...**

ფორმისა და აგებულების მიხედვით პირსახელების სამი ჯგუფი გამოიყოფა: მარტივი ანუ ძირეული, წარმოქმნილი და რთული.

მარტივი ანუ ერთფუძიანი , აფიქსსდაურთველი სახელები ბოლოვდებიან ხმოვანზე და თანხმოვანზე. ხმოვანფუძიანებია: , **ივანე, შიო, ლაზარე, საბა ...**

თანხმოვანფუძიანებია: **ზურაბ, ამირან, ფირან, დანიელ, აბრამ...** მარტივფუძიან პირსახელებად გამოყენებული ზმნური ფორმები: **მახარა, ათალა, გენება...**

სახელების უმეტესობა წარმოქმნილია მოფერებით-კნინობითობის მანარმოებელი აფიქსებით.

-ია: **შოშია** ძმა მისი, **ონია** ძე გიორგია, **ხოსია** ძე მისი, **კაკია** ძე მისი, **სეხნია** ძმა მისი , **კაკლია** ძე თამაზისა ... ასეთივე წარმოება გვხვდება რუისის სამწყოს დავთარშიც.

-უნა: **დათუნა , ბაბუნა, ჯათუნა, გაბუნა...**

-უნა მანარმოებელი ქართულში ძირითადად კნინობით-საალერსო შინაარსის გამომხატველია.

ეს სუფიქსი ქვემო რაჭის მთის მეტყველებაში გამოიყენება როგორც საზოგადო (ქადუნა, ქუდუნა...), ისე საკუთარ სახელებთანაც (დავითუნა, სიკოუნა, პანუნა...) (ძიძიგური 1970: 254; ხორნაული 2003: 236).

-უკა: **მამუკა, ბერუკა.**

რაჭულში -უკა აფიქსი დაერთვის საკუთარ და საზოგადო სახელებს (ვარლამუკა, წყალუკა, დანუკა...) (ძიძიგური 1970: 254).

-იტა: **კარსიტა, ხოსიტა...**

-იკა : **ხახაჯიკა, დათიკა ...**

-ინა: **კოგინა , ბერდინა, ლექვინა ...**

-ა: **თამაზა, გერმანა, მახარა, ლაზარა, ლევანა.**

-ა მანარმოებელი თანხმოვანფუძიან პირსახელებთან დღესაც აქტიურად გამოიყენება შიდაქართლურში.

-ილა: **გოკილა, კოკილა.**

-უა: **ბაჩუა , ადუა, ბერუა, ოქრუა .**

როცა -ა მანარმოებელი ერთვის ო-ზე დამთავრებულ სახელს , ო უ-დ გარდაიქმნება: **ბაჩოა→ბაჩუა, ადოა→ადუა, ბეროა →ბერუა, ოქროა →ოქრუა...**

ფშავში დამცირების მიზნით უა დაბოლოებას (თანხმოვანსა თუ ხმოვანზე) პირსახელს ურთავენ: **ზურაბუა, გოგიუა, ივანუა...** (ხორნაული 2003, 236).

იშვიათად გვხვდება გვხვდება რთული ანთროპონიმები: **სულხანისი, ხახაჯიკა, ავბერდა , მამისიმედი .**

მამის სახელები წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით და ა მავრცობი ხმოვნით: თამაზა ძე **მელქონისა**; კირაკოზ ძე **ზურაბისა**, ივანე ძე **გიორგისა**.

კნინობითობის აფიქსით ნანარმოები სახელები უმეტესად წარმოდგენილია ნათესაობით ბრუნვის ნიშნით და ი მავრცობით: **თამაზასი, ამრასი, ივანესი.**

როგორც ჩანს, მამის სახელების ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შემდეგ დართულ -ა და -ი ელემენტს მავრცობი ხმოვნის ფუნქცია აქვს. განსხვავებას გვიჩვენებს მათი გამოყენების სიხშირე (კობერიძე 2024, 263).

თანხმოვანფუძიანი სახელები ხშირად ფუძის სახით არის წარმოდგენილი: **ზაალ, ბარამ, სიმონ, ოთარ.**

გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როცა სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი: **ხოსისა, ჯათისა.**

შესაძლებელია ადგილის სახელწოდებაზე მიუთითებდეს სახელი **კარბითა**. კარბითა ← კარბიდან. კარბი არის სოფელი შიდა ქართლში.

ა ხმოვანზე გათავებული სახელები წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ნიშნით: **ფირაი, ბერაი.**

ატენისა და წედისის ხეობის მეტყველებაში სახელობით ბრუნვაში ი ერთვის არა მარტო ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს, არამედ, საერთოდ, ხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვებსაც (კახაძე 1953, 285).

ამრიგად, სანალიზო მასალებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართულ და თურქულ ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული ტოპონიმებისა და ანთროპონიმების სტრუქტურა და მანარმოებელი აფიქსები შეესაბამება სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების ძირითად ტენდენციებს. პიროვნების ანთროპონიმული მოდელი ძირითადად ორწევრიანია. ქართულ დოკუმენტი გვხვდება: გვარი+სახელი, თურქულ დოკუმენტებში კი დასტურდება სახელი+მამის სახელი (თურქული წესების მიხედვით).

პიროვნების სახელები ძირითადად ნაწარმოებია მოფერებით-კნინობითობის მანარმოებელი აფიქსებით: -ია, -უნა, -უკა, -იტა, -იკა, -ინა, -ა, -ილა, -უა. გვხვდება როგორც მარტივი, ისე რთულფუძიანი ანთროპონიმები. პირსახელების ნაწილი ზმნური ფორმებისგან არის ნაწარმოები (მახარა, ათალა, გენება...). თურქულ დოკუმენტებში მამის სახელები წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით და -ა მავრცობით. კნინობითობის აფიქსებით ნაწარმოები პირსახელები ნათესაობით ბრუნვაში -ი მავრცობით დასტურდება. დვანის ფრონის ონომასტიკის წარმოებაში არ შეინიშნება სხვა ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი აფიქსები.

დამონმებული ლიტერატურა

ბაგრატიონი, ვახუშტი. 1941. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თბილისი.

ბაგრატიონი, იოანე. 1980. ქართლ-კახეთის აღწერა. ტოპონიმიკა. II. თბილისი.

თაყაიშვილი, ექვთიმე. 1907. რუისის სამწყსოს დავთარი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. წიგნი I. ტფილისი.

თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დიდი დავთარი. 2009. თბილისი.

კახაძე, ოტია. 1953. ატენისა და წედისის ხეობის ქართლური. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. IV. თბილისი.

კობერიძე, მარიამ. 2009. ტოპონიმების წარმოებისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გორი.

კობერიძე, მარიამ. 2014. ფრონეს ხეობის ტოპონიმია. წელიწდეული. VI. ქუთაისი.

კობერიძე, მარიამ. 2015. იოანე ბატონიშვილი „ქართლ-კახეთის აღწერა“ და ფრონეს ხეობის ტოპონიმია. ონომასტიკური კრებული. ახალციხე.

კობერიძე, მარიამ. 2024: კობერიძე მ., მავრცობი ხმოვნების პოზიცია და ფუნქცია შიდაქართლურში. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

კოტინოვი, ნორა. 1980. იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ და მისი მნიშვნელობა ტოპონიმის შესწავლისათვის. ტოპონიმოლოგია. II. თბილისი.

მაკალათია, სერგი. 1963. ფრონის ხეობა. თბილისი.

მამისთვალიშვილი, ელდარ. 2013. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ზოგიერთი ებრაული დასახლების შესახებ. ქართულ-თურქული მულტიდისციპლინარული კონფერენციის მასალები. გორი.

ღლონტი, ალექსანდრე. 1988. ფრონეების ხეობების ტოპონიმია. თბილისი.

შანიძე, აკაკი. 1980. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. ტომი III. თბილისი.

ძიძიგური, შოთა. 1970. ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი. თბილისი.

ხორნაული, გიგი. 2003. ქართული ონომასტიკა. თბილისი.

ჯორბენაძე, ბესარიონ. 1993. ონომასტიკური გულანი. თბილისი.

ჩიქობავა, არნოლდ. 2008. ჭანურის გრამატიკული ანალიზი. შრომები. III. თბილისი.